

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი \*2424


### ბაგრო ფხანისა და წინააღმდეგ

A8



### პიკასო საქართველოში

A10



### გვარდიოლას პირველი გამარჯვება

A13



## 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



# უცნობი წინამძღოლი

ბია ნოდია

ითვლება, რომ ოპოზიცია ერთიანი ლიდერის გარეშეა. მაგრამ ოცდაექვსმა მაისმა დაგვანახა, რომ მას საკმაოდ გამოკვეთილი წინამძღოლი ჰყავს: ეს არის მომღერალი გია გაჩეჩილაძე, იგივე "უცნობი".

### საქართველოს ქურდი

აღლუმზე უცნობი გამოჩნდა ყველაზე ბოლოს, უკვე შეცვებულ სტადიონზე, როდესაც ყველა სხვა ლიდერი უკვე დალაგდა და ხალხთან ერთად ნამდვილ წინამძღოლს შეეგება; ის ხელში აყვანილი შემოაბრძანეს - ცხადია, ასეთი პატივი მხოლოდ ერთ ადამიანს უნდა რგებოდა; ხალხის წინაშე მხოლოდ უცნობმა დაიჩოქა - რაც უზენაეს სუვერენთან გამოჩეჩულ სიახლოვეს ნიშნავდა.

ბაზრძალვა A4 გვერდზე



ბაზრძალვა: ანდრეას ვილი

## დღის შეჯიბრება:

როგორ შეაფასებთ 26 მაისის პოლიტიკურ პროცესებს? როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენათა შემდგომი განვითარება?

### ანდრო ბარნოვი, პოლიტოლოგი:

26 მაისის აქციაზე თუ ვისაუბრებთ, დღის პირველ ნახევარში ყველაფერი კარგად იყო. ჩვენ დავინახეთ ხალხის ერთიანობა. ერთი მხრივ, ქვეყანამ აჩვენა, რომ ხალხს შეუძლია, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. მეორე მხრივ, ხალხმა აჩვენა, რომ იგი თავის პროტესტს მხოლოდ ცივილურ, მშვიდობიან ფორმებში წარმართავს.

შემაშფოთებელი იყო დღის მეორე ნახევარი. სამეზბის ტაძრიდან წამოსვლის შემდეგ აბსოლუტურად მიუღებელი მოვლენები განვითარდა. სამწუხაროდ, 26-ში სალამოს გაიმარჯვა ძალიან ცუდმა იმპულსმა. როდესაც ხალხმა ზუსტად ის ვერ მოისმინა, რისი მოსმენაც სურდა, მისთვის უკვე მნიშვნელობა დაკარგა, ვინ ელაპარაკა მას - პატრიარქი თუ ვინმე სხვა. ისეთი გაუგებარი რაღაცები მოვისმინე, ყურს არ ვუფერებდი - თურმე პატრიარქი მძევლად ჰყავდათ აყვანილი. სამწუხაროდ, ეს არ იყო სამოქალაქო საზოგადოების ქცევა, ეს უფრო ბრბოს ნიშანი გახლდათ. როგორც წესი, ასეთი ტიპის მასა განსხვავებულ აზრს ვერ იტანს (ამის ნიშნები აქა-იქ

მანამდეც ჩანდა, მაგრამ გუშინ კულმინაცია ვიხილეთ). ამის განმეორება ყველამ უნდა გამოირიცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა დაიღუპება.

რაც შეეხება რკინიგზის გადაკეტვას, ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება და მიმართული იყო არა რომელიმე პოლიტიკოსის ან პოლიტიკოსთა ჯგუფის, არამედ ქვეყნის წინააღმდეგ. ვისაც ელემენტარული პასუხისმგებლობა შერჩენია, სასწრაფოდ უარი უნდა თქვას ამ ტიპის ქმედებებზე. ძალიან კარგად მესმის ქუჩაში გამოსული ხალხის უკმაყოფილება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა უნდა დავლუპოთ და იმაზე უარესი გავაკეთოთ, რის წინააღმდეგაც დღეს გამოვდივართ. დარწმუნებული ვარ, ოპოზიციაში არიან სხვადასხვა ტიპის ლიდერები და ბევრი მათგანი არ ეთანხმებოდა ასეთ ქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ დავით გამყრელიძე ხალხს სადგურისკენ გაუძღვა, ჩემი აზრით, ეს იყო მისი მხრიდან დიდი პასუხისმგებლობით გადადგმული ნაბიჯი სიტუაციის განსამუხტად და არა იმისთვის, რომ რკინიგზის პიკეტირება მომხდარიყო.

ბაზრძალვა A3 გვერდზე

## პროტესტის განსხვავებული გზები

26 მაისის შემდეგ საპროტესტო აქციების ორგანიზატორი პოლიტიკური სუბიექტები პროცესის გაგრძელებას ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდებით აპირებენ. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანიას გზების პიკეტირების წინააღმდეგია; თავისუფლების მოედანზე დადგმული "საკნების ქალაქი" "ეროვნული ფორუმის" წევრებმა დატოვეს, რადგან ისინი რევიონებში აპირებენ პროტესტის გაგრძელებას, თუმცა გამოთავისუფლებულ "საკნებს" "კონსერვატიული პარტიის" წევრები შეავსებენ. ამავე დროს, არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები თბილისის მერიის შენობის პიკეტირებას გეგმავენ.

### დათო ბაჩისონია

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა "ახალი მემარჯვენეების" ოფისში მოლაპარაკებები გამართეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ირაკლი ალასანიას, ლევან გაჩეჩილაძე, ნონო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და დავით გამყრელიძე. გუშინდელ მოლაპარაკებებს არ დასწრებიან, როგორც "ეროვნული ფორუმის," ასევე "ალიანსი თავისუფლებისთვის" წარმომადგენლები. მოლაპარაკებებიდან გამოსულ ოპოზიციის ლიდერებს ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გამოუქვეყნებიათ. არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები მხოლოდ საერთო მიზანზე არიან შეთანხმებულნი, თუმცა

სხვადასხვა ოპოზიციური სუბიექტები პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას ინდივიდუალურად აპირებენ.

ნინო ბურჯანაძე უფრო აქტიური პროტესტის გაგრძელების მომხრეა. "ვერც ერთი ხელისუფლება და რეჟიმი ვერ შეიცვლება დახვეწილი მეთოდებით და ლამაზი სიტყვებით, მით უმეტეს - სააკაშვილის ხელისუფლება," - განაცხადა ბურჯანაძემ. ხოლო "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მოქმედების გაგრძელებისთვის სამი პრიორიტეტი დაასახელა: შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული საპროტესტო აქციები და არა პერმანენტული საპროტესტო მიტინგები;

ბაზრძალვა A2 გვერდზე









# მძიმა სასურსათო ფონი

## რეკავი საყვარელი

ევროკავშირისა და საქართველოს შორის 1999 წელს დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA) დღემდე რჩება ორმხრივი ურთიერთობების საფუძვლად. ამ ხელშეკრულებით ევროკავშირმა და საქართველომ აიღეს პარტნიორული ურთიერთობის დამყარების ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივ სასარგებლო სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს, თანამშრომლობას ეკონომიკის, სოციალურ, ფინანსურ, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კულტურის სფეროში. პარტნიორობის მიზანია საქართველოს სრულყოფილი დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა.

ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. ინტეგრირების საფუძველია ეკონომიკისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული წესებისა და მოთხოვნების მიღება და მათი განხორციელება შესრულება, ვაჭრობის გააქტიურება, მეტი ინვესტიციების მოზიდვა და მაქსიმალური ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის საერთო სივრცის შექმნისათვის აუცილებელია საკანონმდებლო-სამართლებრივი საფუძვლისა და გადაწყვეტილებების საერთო კურსის შემუშავება. ამ

მიზნის მისაღწევად საჭიროა იურიდიული წესების, სამართლებრივ სისტემებისა და საკანონმდებლო დარგებში განსხვავების აღმოფხვრა მათი ჰარმონიზაციის საშუალებით. ჰარმონიზაცია, როგორც ევროპული სამართლის სისტემის განუყოფელი ნაწილი, გახდა ევროკავშირისა და საქართველოს ინტეგრაციის ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ნარმოქმნა საქართველოს კანონებისა და ევროკავშირის კანონებთან ჰარმონიზაციის აუცილებლობაც.

გლობალიზაციის ეპოქაში კანონმდებლობის ჰარმონიზაცია თანამედროვე სახელმწიფოს ნორმატიული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, რაც საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკური კავშირების განმტკიცების და შემდგომი თანამშრომლობის გამყარების საფუძველია.

სურსათის სფეროში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების მაქსიმალურ უვნებლობას, 2002 წელს მიღებული 178/2002 რეგულაცია წარმოადგენს. ამ რეგულაციის 49-ე მუხლის მიხედვით, ყველა ქვეყანა, რომელიც აღიარებს ევროპულ კანონმდებლობას და მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს.

ამჟამად, ევროკავშირისა და საქართველოს სასურსათო პროდუქტების პოლიტიკის ძირითადი მიზანი მდგომარეობს სასურსათო უსაფრთხოების, მონაწილეობის ჯანმრთელობისა და

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მაღალი დონის და "საქონლის ერთიანი ბაზრის" (კულტურული განსხვავებების, მათ შორის ტრადიციული პროდუქტების მხედველობაში მიღებით) ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" მიღებულია 2005 წლის 27 დეკემბერს. კანონის პირველადი სახე შეფასდა, როგორც სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო სივრცის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

კანონის მიღებით საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შემოვიდა სურსათის უვნებლობისადმი ახლებური მიდგომა - ე.წ. "ფერმიდან სუფრამდე" სქემა, თუმცა კანონში 2006-2007 წლებში შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, რის შედეგადაც საქართველოს საკანონმდებლო სივრცე დამორდა ევროკავშირის 178/2002 რეგულაციის მოთხოვნათა ძირითად პრინციპებს და, ამასთანავე, შემცირდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯზე. შედეგად, მოსახლეობა აღმოჩნდა სამომხმარებლო ბაზრის პირისპირ, ყოველგვარი ეფექტური და ქმედითი დაცვითი მექანიზმების გარეშე.

დარგის ექსპერტებში, მწარმოებელ კომპანიებში, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულებში (პარლამენტი, მთავრობა, დარგობრივი სამინისტროები) და მომხმარებლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ჩალრმავებული ინტერვიუების შედეგების ანალიზის შედეგად სწორედ ის სურათი გამოვლინდა, რაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარს შეეფერება.

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის მოსაზრებით სურსათის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა უფლებები უვნებლობის თვალსაზრისით დაუცველია. სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფი კანონმდებლობის დაუყოვნებლივი ამოქმედების მომხრეა უმრავლესი რესპონდენტი. მათი აზრით, ამით გაიზრდება თითოეული მწარმოებლისა და რეალიზატორის პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაიზარდება ის უარყოფითი შედეგები, რაც ამ კანონების შეჩერებამ გამოიწვია. ამასთანავე, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ამ კანონების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს, ხოლო მენარმეებს ექნებათ უმნიშვნელო ერთჯერადი დანახარჯი.

კანონის შეჩერებამ ხელი შეუწყო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნახალისებას და, შესაბამისად, ბაზარზე არაკეთილსინდისიერი პროდუქტების მომრავლებას. რესპონდენტთა 56,5% მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე შეჩერებული კანონის პრინციპების ამოქმედება შესაძლებელია, ხოლო 43,5% მომხრეა შეჩერებული მუხლების ეტაპობრივად ამოქმედებისა.

52,2% რესპონდენტი მიიჩნევს, რომ შეჩერებული მუხლების ამოქმედების შედეგად პროდუქციის თვითღირებულება უმნიშვნელოდ გაიზრდება, 32,2% კი ფასების მომა-

ტებას საერთოდ არ ვარაუდობს. ამასთანავე, აბსოლუტური უმრავლესობა კანონის ამოქმედების შედეგად მოელის სურსათის ბიზნესის მონაწილეთა პასუხისმგებლობის გაზრდის ხარჯზე სამომხმარებლო ბაზარზე მავნე პროდუქტის შემცირებას და მომხმარებელთა დაცულობის ხარისხის გაზრდას.

"სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" კანონის შეჩერებული ნაწილის ამოქმედების ოპტიმალურ ვადად რესპონდენტები 3-6 თვეს მიიჩნევენ. თუმცა, აქ არც სხვა პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი: კერძოდ, რესპონდენტების უმრავლესობის (73,9%) აზრით, სასურსათო ბიზნესის მონაწილეთა განათლების დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. განათლების დონის ასამაღლებლად უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიან პროფესიულ კურსებს და ტრენინგებს, დაფინანსების წყაროდ კი მოიაზრება მენარმეები, დონორები და სახელმწიფო როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთობლივად.

თუმცა, სანამ ეს მოხდება, მანამდე უნდა შევეფუთოთ იმ მოსაზრებას, რომ დღევანდელ ეტაპზე მოსახლეობის ჯანმრთელობა სამომხმარებლო ბაზარზე აბსოლუტურად დაუცველია. სახელმწიფოსგან არ არსებობს არანაირი მოქმედი დაცვითი მექანიზმი და ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ მენარმეების კეთილ ნებაზე. ნებაზე, რომელიც ყოველთვის კეთილი ვერ არის, რასაც მონამელების და სიკვდილიანობის სტატისტიკა ყოველწლიურად მკაცრად ადასტურებს.


# სოფლის მეურნეობის მინისტრი ახალ პროექტებს გვპირდება

## ანა იაშვილი

პრეზიდენტის ვიზიტისას ბოდრუმში ახალი პროგრამის შესახებ, საქართველოში ახალი ტიპის სასათბურე მეურნეობის - ახალი კონსტრუქციებით სათბურების შენების დანერგვაზე შეთანხმდნენ. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეციანი "24 საათთან" საუბრისას თქვა, პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ საქართველოში თურქეთიდან უკვე შემოსულია რამდენიმე ინვესტორი და ისინი თანამედროვე ტიპის სათბურების აგებაში გარკვეულ ინვესტიციებს დააბანდებენ.

**- ბატონო ბაკურ, მსოფლიო კრიზისის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში რა პრობლემები გამოიკვეთა?**

- კრიზისული ფონი ძირითადად იმ დარგებზე აისახა, რომლებიც დამოკიდებულია ექსპორტზე - პირველად პროდუქტებზე: დაფნაზე, თხილზე, ბოსტნეულ კულტურებსა და ხილზე. აღნიშნული კულტურების ექსპორტირება შეფერხებებით ხდებოდა. შეფერხდა ფულის გადმორიცხვის პროცესი, რაც მწვავედ აისახა ექსპორტიორების საქმიანობაზე. ბევრი კომპანია დაზარალდა. ამ პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია კონკრეტული ფერმერის თუ ექსპორტიორის ბიზნესგარიგებაზე, რაც დღეს უკვე დიდი რისკის შემცველია. ბევრ ქვეყანაში, სადაც ქართულ ფერმებს პარტნიორული



ურთიერთობა აქვთ და ექსპორტს ანარმობენ, ეროვნული ვალუტა ინფლაციას განიცდის. კრიზისის შედეგად გამოწვეული ფასების ვარდნა ბაზრის არასტაბილურობას იწვევს. იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება, ამ მხრივ, შედა-

რებით სტაბილურად შეიძლება ჩათვალოს, თუმცა აქაც არის გამოინაკლისი - ძვირად ღირებული და მაღალი ხარისხის პროდუქტი. აღნიშნული პროდუქციის შემომტან კომპანიებს შეფერხებები შეექმნათ და ფინანსურ კრიზისს განიცდიან.

**- ყველაზე მეტად მეურნეობის რომელი დარგი დაზარალდა?**

- ზოგადად, სოფლის მეურნეობა სიცოცხლისუნარიან და რენტაბელურ დარგად რჩება. ახალი პროგრამების საინტერესო ეტაპს ვინყვებთ, რაც იაფი სესხების მეშვე-

ობით განხორციელდება. გამოკვეთილია ორი მიმართულება: სასაკულოების და შესანახი მეურნეობების ნარმოების დაფინანსება. ეს პროგრამა საშუალებას მოგვცემს, ბაზარი ადგილობრივი ნარმოების იაფი და ხარისხიანი ხორცის პროდუქტით უზრუნველყოთ და შესანახ მეურნეობებში, სეზონის მიხედვით, ხარისხიანი ნედლეული შევიწარმოთ. ამ პროგრამით დავეხმარებით სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერებსა და გლეხებს. ჩვენ საზოგადოებისაგან პროექტების შემოთავაზებას ველოდებით. გამარჯვებულ პროექტებს სახელმწიფო დააფინანსებს.

**- რაში მდგომარეობს ახალი პროექტი აშენებული სათბურების უპირატესობა ადგილობრივ სასათბურე მეურნეობასთან შედარებით?**

- სასათბურე მეურნეობასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც საგადასახადო ტვირთის და ძვირი

ენერგომატარებლების პრობლემას მოვავაგრებთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს გაზის მონოდებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანთან დადებული ახალი ხელშეკრულება. ნარმოებს მოლაპარაკება და ვგეგმავთ, რომ სასათბურე სექტორი სხვა დარგებისაგან განსხვავებული, დაბალი ტარიფის გაზით მომარაგდეს. ახალი ტიპის სათბურები აჭარასა და დასავლეთ საქართველოში აშენდება. ამ პროექტებს თურქი ინვესტორები დააფინანსებენ.

# თავითა კალატაში სკანდალი ბრძოლაში

ივანე მელიქიძე

ბოლო კვირებში აგორებული სკანდალი, რომელიც ბრიტანელი პარლამენტარების მიერ გადასახადის გადამხდელთა ფულის არამიზნობრივად, საკუთარი საჭიროებისთვის ხარჯვას ეხება, თანდათან ფართოვდება და მასში ახალი ფიგურანტების სახელებიც ჩნდება. საერთო ჯამში, არაკეთილსინდისიერი პიროვნების იარაღი თემთა პალატის ასზე მეტ დეპუტატს მიეკუთრება. გუმბინინ ცნობილი გახდა იმ პიროვნების სახელიც, რომლის საშუალებითაც "დეილი ტელეგრაფში" გამოქვეყნდა წერილების სერია დეპუტატთა ხარჯებზე. სკანდალის შესახებ აზრი გამოთქვა თვით კენტიერბერიის არქივისკომისმა როუენ უილიამსმა. კერძოდ მან განაცხადა, რომ პარლამენტართა ხარჯების ისტორია ბრიტანეთში მორალურ სიბეცეს ასახავს.

ერთი შეხედვით, ბრიტანელ პარლამენტარებს კანონი არ დაურღვევიათ. მათ პარლამენტის შესახებმის ორგანოში საკუთარი ხარჯების ანაზღაურების შესახებ განაცხადი შექმნა, რომელიც განხილვის შემდეგ შეიძლება დაექვეყნდეს. თუმცა, თანხა სამსახურებრივ საჭიროებებზე იყო დახარჯული ან მის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალების თანხმად, უარის თქმის შემთხვევები თითქმის არ არის. თუმცა უფრო სერიოზული განხილვისას

ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს არც ისე კანონიერ ოპერაციებთან, რაზეც ცალსახად მიუთითებენ როგორც სკოტლენდ იარდის, ასევე გადასახადის გადამხდელთა ალიანსის ექსპერტები. სკოტლენდ იარდის ზოგი საქმის გამოძიებასაც აპირებს. ამჯერად ზედმეტად მიგვაჩინა რიგითი დეპუტატების კონკრეტული განაცხადების ჩამოთვლა, რითიც უკვე აჭრელებულია ბრიტანული და არა მხოლოდ ბრიტანული პრესა. შევეხებით მხოლოდ ზოგად ტენდენციებს და მასშტაბს. ბრიტანელი დეპუტატების უმრავლესობას ორი სახლი აქვს (ზოგს მეტიც) - ერთი იმ რეგიონში, სადაც არჩეულია, ხოლო მეორე ლონდონში. ამ "მეორე" სახლის ხარჯების ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების უფლება მათ კანონით აქვთ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ცოლიც და ქმარიც დეპუტატია და მათ ერთსა და იმავე სახლის ხარჯებს უნაზღაურებდნენ. ზოგიერთს აღმოაჩნდა ორი "მეორე" სახლი და არც ერთი "პირველი". ერთ-ერთმა, თან ისედაც გამორჩეულად მდიდარმა პარლამენტარმა სახელმწიფოს ხარჯზე დაფარა იპოთეკური ხარჯები 100 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, მაშინ როდესაც მეშვიდე, 1,35 მილიონის ღირებულების ბინა იყიდა... ერთმა პარლამენტარმა ლონდონის სახლისთვის ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდი ავეჯი სხვა ქალაქში მშობლებს გაუგზავნა... უფრო წვრილმან თანხებს აღარ განვიხილავთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ 250 გირვან-

ქაზე ნაკლები განაცხადი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე ივარდებოდა და ამ კატეგორიაში საყოფაცხოვრებო ტექნიკის დიდი ნაწილი ხედებოდა. დეპუტატთა უმრავლესობამ საქმის გამოაშკარავების შემდეგ ამ ფულის უკან დაბრუნება დაიწყო და ამ დაბრუნებულმა თანხამ უკვე 160 ათასი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. სკანდალში გაეხვივნენ სამივე ძირითადი პარტიის "ლიბერლისტების" (მათგან ყველაზე მეტი, შეიძლება იმიტომაც, რომ მეტი არიან), "კონსერვატორების" და "ლიბერალ-დემოკრატების" წევრები, ასევე საკმაოდ "ეგზოტიკური" პარტიის "შინ-ფინის" წარმომადგენლებიც. ამ პარტიის ხუთივე დეპუტატმა ლონდონის სახლებს მთლიანობაში ოთხ წელიწადში 500 ათასამდე გირვანქა სტერლინგი მოახმარა. საქმის არის, რომ "შინ-ფინის" ირლანდიის რესპუბლიკური არმიის პოლიტიკური ფრთაა და ისინი პარლამენტის სხდომებს არ ესწრებიან.

არის უფრო რთული შემთხვევებიც, რომელშიც კაბინეტის ცხრა მინისტრია გარეული. ეს მუხლი დავის საგანია - შედის თუ არა სამსახურებრივ, მიზნობრივ ხარჯებში. პარლამენტარების ნაწილს (კაბინეტის წევრები პარლამენტარებიც არიან) სახელმწიფო უნაზღაურებდა იმ ფინანსურ ექსპერტთა მომსახურებას, რომლებიც მათ საკუთარი გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნებაში ეხმარებოდნენ, ცხადია კანონიერად. ამ ფირმის მომსახურებით ისარგებლეს და მას

მთლიანობაში 11 ათასი გირვანქაც გადაუხადეს ფინანსთა მინისტრმა ალისტერ დარლინგმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკი სმიტმა, სათვისტომოების მინისტრმა ჰეიზელ ბლინსმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა, შრომისა და საპენსიო უზრუნველყოფის მინისტრმა ჯეიმს პერნელმა, ტრანსპორტის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა, საერთაშორისო განვითარების მინისტრმა დუგლას ალექსანდერმა და გარემოს დაცვის მინისტრმა ჰილარი ბენმა. მეცხრე მინისტრის გვარი მითითებული არ არის, რადგან გაზეთმა მისგან ამ საკითხზე კომენტარის მიღება ვერ მოახერხა. მინისტრებთან დაკავშირებულ ამ კონკრეტულ საკითხში, როცა საქმე პროფესიულ კონსულტაციას ეხება, აზრი გაიყო და ისინი შეიძლება შედარებით იოლად გადარჩნენ, თუმცა ფინანსთა მინისტრის საკითხი მაინც ცოტა უფრო რთულად დგას (მასზე მეტიც დაიხარჯა).

როგორც აღვნიშნეთ, "დეილი ტელეგრაფმა" დაასახელა იმ ადამიანის სახელი, ვინც მათ ინფორმაცია მიაწოდა. ეს არის ბრიტანეთის სპეციალური სამხედრო-საჰაერო პოლიციის ყოფილი ოფიცერი ჯონ უიკი, რომელიც თავის დროზე ანტიტერორისტულ შენაერთის ხელმძღვანელობდა, დღეს კი ფლობს კომპანიას, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს მძევალთა განთავისუფლების შესახებ. როგორც ინტერვიუში უიკმა განაცხადა, მას მარტში უცნობი პიროვნება დაუკავშირდა, რომელმაც განუცხადა,

რომ კომპიუტერულ დისკზე აქვს სრული ინფორმაცია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველა ბრიტანელი პარლამენტარის ხარჯების შესახებ და მათ გამოსაქვეყნებლად დახმარება სთხოვა. ამ პიროვნების თქმით, დისკი არ იყო მოპარული და იგი მხოლოდ არარეგისტრირებული ასლი იყო. გაირკვა, რომ დოკუმენტს არ ედო არც გრიფი "საიდუმლო", არც "კონფიდენციალური". მასში აღმოჩნდა სრული ინფორმაცია, 4 მილიონი დოკუმენტი, ქვითრების ასლების ჩათვლით. ჯონ უიკმა დოკუმენტების შემოწმების, იურისტებთან კონსულტაციისა და შესაძლო რისკების გათვლის შემდეგ მისი გამოქვეყნება გადაწყვიტა და დღესაც დარწმუნებულია, რომ სწორად მოიქცა. მისი აზრით, საზოგადოებას უფლება აქვს, პარლამენტის წევრებზე სრული ინფორმაცია ჰქონდეს.

თემთა პალატის სპიკერ მაიკლ მარტინის გადადგომის შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. მას მიჰყვა იუსტიციის მინისტრის მოადგილე შახიდ მალიქიც. ეს სია რამდენიმე დღეში ალბათ გაიზრდება. თემთა პალატაში დაიწყო დებატები და ხარჯების ანაზღაურების სისტემა გადაიხედება. უკვე ცნობილია, რომ მასში აღარ შევა ავეჯი, კვება, ასევე დეპუტატებს აღარ ექნებათ უფლება, სახელმწიფოსგან მოითხოვონ ხან ერთი, ხან კი მეორე სახლის "ფინანსური უზრუნველყოფა". დანარჩენ საკითხებსაც ნელ-ნელა მოეფინება ბათელი, სკანდალი არ დამთავრებულია.

# ტერაქტი პაკისტანში

თავდასხმას ათობით ადამიანი შეეწირა

მარიკა იახვილი

დანაშაული მანქანის აფეთქების შედეგად ქალაქ ლაჰორში, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში, სულ მცირე, 23 ადამიანი გარდაიცვალა, 200-მდე კი დაიჭრა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მანქანა ქალაქის პოლიციის ცენტრალურ სამმართველოსთან აფეთქდა. შედეგად შენობის ოპერატიული რეაგირების განყოფილება მთლიანად დაინგრა. ადგილობრივი ტელევიზია უჩვენებდა კადრებს, რომლებიც პოლიციის დამწვარ მანქანებს ასახავდა. დაზიანდა მახლობლად მდებარე პაკისტანის საგამოძიებო სამსახურის შენობაც.

როგორც პოლიციელები ჰყვებიან, მანქანა შენობის გარშემო შემოვლულ ბარიერს შეეჯახა და აფეთქდა. აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ შორიასლოს მდებარე შენობების კედლებს ბზარები გაუჩნდა.

თვითმხილველთა განცხადებით, მათ ნახეს, როგორ დააკავეს პოლიციელებმა აფეთქების შემდეგ ორი ადამიანი.

**"აფეთქება ძლიერი იყო, - აცხადებს ლაჰორის პოლიციის წარმომადგენელი ნაიბ ჰაიდერი, - მან რამდენიმე შენობა სერიოზულად დაზიანა და სახლებს ფანჯრები ჩაუმსხვრია."**

პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაჰმან მალიქმა თავდასხმაში მოძრაობა "თალიბანს" დასდო ბრალი. მისი თქმით **"პაკისტანი მტრები, რომლებსაც ქვეყნის დესტაბილიზაცია სურთ, ლაჰორში სვატის ველიდან ჩადიან. ბრძოლა მიდის და ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის."**

სვატის ველზე თავდასხმა



ტერაქტის ადგილი ლაჰორში

ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე მოხდა, სადაც სამთავრობო ძალები ომს აწარმოებენ თალიბებთან, რომლებსაც ამ რაიონებში თავისი გავლენის გაზრდა სურთ.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა

ჯერ არავის აუღია, მაგრამ ხელი-სუფლება ვარაუდობს, რომ ეს არის თალიბთა შურისძიება იმ წარუმატებლობისთვის, რომელსაც ისინი სვატში განიცდიან.

შემთხვევის ადგილზე მომუშავე მაშველთა ვარაუდით, მსხვერპლის რაოდენობამ შესაძლოა 35-ს მიაღ-

მყოფმა ტერორისტებმა ცეცხლი პოლიციის შენობის დაცვასა და პაკისტანის საგამოძიებო სამსახურის შენობას გაუხსნეს.

დაცვამ ბოევიკებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა და ვინრო ქუჩაზე ორ შენობას შორის გაჩერებული მანქანა მხოლოდ ამის შემდეგ აფეთქდა.

ადგილობრივ გაზეთის "დოუნის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ორმხრივი სროლა აფეთქების შემდეგ კიდევ ნახევარ საათს გავრცელდა.

პოლიციის სამმართველოს შენობისგან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. მაშველები ნანგრევებიდან ცოცხლად გადარჩენილების ამოყვანასა და გარდაცვლილთა სხეულების პოვნას ცდილობენ. დაჭრილი პოლიციელები სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ტერიტორიის ნანგრევებისგან გასაწმენდად შემთხვევის ადგილზე ბულდოზერები და ამწებიები მობილიზებული.

გავრცელდა ინფორმაცია უბედური შემთხვევის ადგილზე მისულ რეპორტიორებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებაც. აფეთქების ადგილამდე მისასვლელი გზა პოლიციამ თითქმის მაშინვე გადაკეტა, რამაც ადგილობრივი ჟურნალისტების უკმაყოფილება გამოიწვია.

ბოლო თვეების განმავლობაში ლაჰორში - პაკისტანის სიდიდით მეორე ქალაქში - რამდენიმე ტერაქტი მოხდა. მარტში თავდასხმა განხორციელდა ქალაქის პოლიციის აკადემიაზე, რასაც რვა ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. რამდენიმე კვირით ადრე კი ლაჰორში ექსტრემისტები შრი-ლანკის კრიკეტის გუნდს დაესხნენ თავს და შვიდი პოლიციელი მოკლეს.







# ბანკი 1000 საქართველოს ბანკი

ბანკით ნაბაი, რაჩოთ ბათაშაშაშა, შოგოთ შინაშე შინაშე და ბიან



საქართველოს ბანკი  
BANK OF GEORGIA







**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რემესტრის სააბენტოს მიერ 2009 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული შემყიდვები დაფინანსების წყარო: სრს მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლები**

ხელშეკრულების თარიღი	შესყიდვის ობიექტი	სახელშეკრულებო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებელი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი. მ. " გიორგი მერკვაშვილი"
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი. მ. "კახაბერ ბურიაშვილი"
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი. მ. რობერტ ხელია
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ ბაღრი მახმანიშვილი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. ლევან ვაჭარაძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. მერაბ ლორთქიფანიძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. ლევან დავითანი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ფ.პ გიორგი ხეფაშვილი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. გიორგი ვახაძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. პოვეკ ვილიანი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. მურთაზ ხეცაძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. ნუგზარ გოციროძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. რომან ხიმშიაშვილი
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ფ.პ. თემურაზ ლაცაბიძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. თენგიზ ლაცაბიძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. შიო გუგუნიძე
05.01.09	ავტომანქანების ქირა	1140	ე.პ.მ.	ი.მ. გელა მთლივაური
05.01.09	„აიეტის“ მომსახურება 5 წერტილზე	780	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „აიეტი“ ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №6
05.01.09	კანალიზაციის გაწმენდა	187.5	ე.პ.მ.	ფ.პ. "მერაბ ჯავახიშვილი" იმერეთის II შეს. №39
05.01.09	სრს რუსთავის სამსახურის დერატიზაცია	289.8	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "რუსთავის სადუქნო-ფუფქვითი სამსახური". ქ. რუსთავი, დემბაძის ქ. №2
05.01.09	ლიფტის ტექნიკური მომსახურება	3600	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ასე გრუპი“ ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. ორბ. №9
08.01.09	ფერადი პრინტერის კარტრიჯები	1650	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "სოფტმასტერი" ჯავახიშვილის ქ. №100
08.01.09	მარკერი „პერმანენტ ხიტექტ“	225	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "საკანცელარიო სამსახური" ქ. თბილისი, რიბაქიძის ქ. №7
09.01.09	საკონფერენციო დარბაზის ქირაგება	1868	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "რა აღ ზაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია" ქ. თბილისი,
09.01.09	მობილური ტელეფონი	900	ე.პ.მ.	ი.მ. გუდლიერ ხელიაძე ქ. თბილისი, კერესელის ქ. №12
16.01.09	სრს თბილისის სამსახურების დერატიზაცია	953.15	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "სადუქნო-ფუფქვითი პროფილაქტიკური ცენტრი" ქ. თბილისი, 0159 ჩანაყას ქ. №3
16.01.09	სუველიდის სამსახურის შენობის ექსპერტისა	5562.11	ე.პ.მ.	სსიპ. "ლევან სამხარაულის სახელობის სახანოლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84
16.01.09	შუშხენა ღვინო	7000	ე.პ.მ.	ს.ს. „ბაგრატიონი-1882“ ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილი ქ. №12
16.01.09	სურსათი, პიკნიკური საქონელი	320.2	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1
21.01.09	დისკის წამკითხავი	552	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „LAB დისტრიბუცია“ ქ. თბილისი, ზაზიშვილის I შეს. №1
21.01.09	ვაკის სამსახურის გაზის გამათბობლის შეკეთება	70	ე.პ.მ.	ფ.პ. "ივანე იმედაშვილი" ქ. თბილისი, შევარდნაძის ქ. №2 ბ. 37
23.01.09	ქ. თბილისის არქივის კანალიზაციის გაწმენდა	170	ე.პ.მ.	ფ.პ. "მერაბ ჯავახიშვილი" იმერეთის II შეს. №39
28.01.08	ქსელის კაბელი	274.5	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „LAB დისტრიბუცია“ ქ. თბილისი, ზაზიშვილის I შეს. №1

28.01.08	ქსეროქსის ქაღალდი	975	ე.პ.მ.	ი.მ. გიორგი კანდელაკი კვსტა
28.01.08	სამუერნეო საქონელი	2299.5	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "ლექსუსი" თემქის დას. მე-9 კვ. კორ. 18 ბ.29
29.01.08	უაღკომლო სასმელები	76.7	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1
30.01.09	ალაფურ შეტი	1000	ე.პ.მ.	ი.მ. გიორგი ჩიხელი "კესი"
30.01.09	კორპორაციული ელემენტებით გაფორმებული ტორტი	275.5	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1
03.02.09	ჭიქები (1 კომპლექტი)	105.6	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №2
04.02.09	ცენტრალური ოფისის VI სართულის კანალიზაციის გაწმენდა	85	ე.პ.მ.	ფ.პ. "მერაბ ჯავახიშვილი" იმერეთის II შეს. №39
09.02.09	№3 ქორწინების სახლის სარკე	590	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „აი პი ჯი“ ქ. თბილისი, მკები კაკაბაძის ქ. №9
09.02.09	ინხის სამსახურის დერატიზაცია	253	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "სადუქნო-ფუფქვითი პროფილაქტიკური ცენტრი" ქ. თბილისი, 0159 ჩანაყას ქ. №3
17.02.09	სადილი ტრეინინგისთვის	300	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ადელიკატი“
17.02.09	სურსათი	323.9	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1
20.02.09	სარეცხი საშუალებები	42	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ჯეო ვიკინგი“ ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. №84
20.02.09	ტელეფონის ქაღალდი	700	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ამიკომპანი“ ქ. თბილისი, გელანი მსხ. V მ.რ. 26,კ 45
23.02.09	სადილი	1050	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „კანალი“ ქ. სამტრედიის, რაზმის ქ. №2
23.02.09	წელის გატარება	300	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „კანალი“ ქ. სამტრედიის, რაზმის ქ. №2
23.02.09	პოქლონი	20	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "ლექსუსი" თემქის დას. მე-9 კვ. კორ. 18 ბ.29
23.02.09	რკინის კარის საკეტი	285	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "ლექსუსი" თემქის დას. მე-9 კვ. კორ. 18 ბ.29
23.02.09	სადენის სამაგრი	20	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "ლექსუსი" თემქის დას. მე-9 კვ. კორ. 18 ბ.29
23.02.09	საეზიბო ბარათი	60	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „სოლევი“ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №45
25.02.09	მეარი დასკი (გინინგტერი)	135	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „LAB დისტრიბუცია“ ქ. თბილისი, ზაზიშვილის I შეს. №1
27.02.09	დაზღვევა (ავტომობილების)	2750.2	ე.პ.მ.	სადაზღვეო კომპანია "იმედი L International" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №20
27.02.09	დაზღვევა (ქონების)	29155.12	ე.პ.მ.	სადაზღვეო კომპანია "იმედი L International" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №20
02.03.09	ნათურა 60გ.	64.9	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ჯიისი ჯორჯია“ ქ. თბილისი, ჩანაყას 6/8
02.03.09	ნათურა 100გ.	69.7	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ჯიისი ჯორჯია“ ქ. თბილისი, ჩანაყას 6/8
02.03.09	ამსტრონგის ნათურა	349.2	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „ჯიისი ჯორჯია“ ქ. თბილისი, ჩანაყას 6/8
05.03.09	აიეტის მომსახურება 1 წერტილზე	183	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „აიეტი“ ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №6
12.03.09	საბურთალოს სამსახურის კანალიზაციის გაწმენდა	150	ე.პ.მ.	ფ.პ. "მერაბ ჯავახიშვილი" იმერეთის II შეს. №39
19.03.09	საეზიბო ბარათები	120	ე.პ.მ.	შ.პ.ს. „სოლევი“ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №45
19.03.09	თარგმნა	180	ე.პ.მ.	ი. ს ნანა დათუნაშვილი
19.03.09	კანალიზაციის გაწმენდა	170	ე.პ.მ.	ი.მ. თემურაზ ჯახელიძე
25.03.09	თარგმნა	24	ე.პ.მ.	სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო
27.03.09	თარგმნა	126	ე.პ.მ.	სსიპ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო
07.04.09	სურსათი	316.8	ე.პ.მ.	შ.პ.ს. "გუდვილი" ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1





### შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 28 მაისიდან აცხადებს ტენდერს საპნისა და ტუალეტის ქაღალდის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს საპნისა და ტუალეტის ქაღალდის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამისი ტექნიკური დავალება (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 28 მაისიდან 2009 წლის 17 ივნისის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტის №	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	ერთ.	რაოდ.
1	ტუალეტის ქაღალდი	ცალი	81 939
2	საპონი ხელის 80 გრ	ცალი	800
	საპონი ხელის 75 გრ	ცალი	2 985
	საპონი ხელის 100 გრ	ცალი	1 700
3	საპონი სამეურნეო 72% 150 გრ	ცალი	1 000
	საპონი სამეურნეო 72% 200 გრ	ცალი	5 000
4	საპონი სურნელოვანი 50-60 გრ	ცალი	80 000

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;  
4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში;  
5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 17 ივნისის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 1. იურიდიული პირებისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. პაკეტების გახსნის დღეს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას პროდუქციის თითო ნიმუში;

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დღგ-ს გარეშე: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

4. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს;

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56-33-71 მკა უწყუნამშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლომჯანიძე 56-46-96);

სატენდერო კომისია

### შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 28 მაისიდან აცხადებს ტენდერს რკინიგზის რეგულირებადი გადასასვლელის მოსაწობად საჭირო მოწყობილობების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს რკინიგზის რეგულირებადი გადასასვლელის მოსაწობად საჭირო მოწყობილობების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამისი ტექნიკური დავალება (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 28 მაისიდან 2009 წლის 17 ივნისის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტის №	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	რაოდენობა
1	სენაკი-ქვალიონის გადასარბენის (კმ 5+3კ 9) რკინიგზის რეგულირებადი გადასასვლელის მოსაწობად საჭირო მოწყობილობები	
	ლინზური კომპლექტი ანბური შუქნიშნისათვის	2 ცალი
	შემაერთებელი ელექტროწვევის ზიმეტალის	30 ცალი
	ფუნდამენტი ავტოშლაგბაუმისათვის	2 ცალი
	ფუნდამენტი ანბური შუქნიშნისათვის	2 ცალი
	ფუნდამენტი გადასასვლელის სიგნალიზაციის შუქნიშნის	2 ცალი
	სამატარეო კარგადა	1 ცალი
	ქურო უკმ-12 (ან ანლოგი)	6 ცალი
	ქურო რმ-4 (ან ანლოგი)	2 ცალი
	აზზოციმენტის ან პოლიეთილენის მიღები	30 მ
	სადენი სპილენძის	0,2 კმ
	სადენი სამონტაჟო	0,5 კმ
	ანბური ერთიშრიანი შუქნიშანი	2 ცალი
	ზღუდარი დროსელ-ტრანსფორმატორის	8 კომპ.
	აკუმულატორი	7 ცალი
	საკაბელო ყუთი	2 ცალი
	საგზაო ნიშნები	4 ცალი

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP სამტრედია (დასავლეთ სალიანდაგო სამმართველო);  
4. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში;  
5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 17 ივნისის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე.

მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დღგ-ს გარეშე: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს;

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56-33-71 მკა უწყუნამშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლომჯანიძე 56-46-96);

სატენდერო კომისია



**დაიკყარი მწვერვალი!  
გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$325 000**

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ვანგელისა, სტეფანი სეიმუხი, ელენა შიფუჩი, სინდი ჯოუფოხი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 ნომერ ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიჩვილი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნა Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონკრეტული სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წახმადებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნოცადის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge



**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის  
მანუალური თერაპიის და  
სამკურნალო  
მასაჟის სპეციალისტი  
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი  
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი  
ქალის ჯანმრთელობაა!  
თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის  
და საშვილოსნოს ავთვისებიანი  
სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარკვევი ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;



საჯალბო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი "ნიუ იორკ თაიმსთან" ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის "24 საათის" ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება "24 საათისგან" დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ————— 52 ლარი;
- 6 თვით ————— 26 ლარი;
- 3 თვით ————— 13 ლარი;
- 1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;





**ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 99-12 კმ.**  
**☎ 24-44-44 ☎ 24-44-44 (1119)**  
**E-mail: info@tegetamotors.ge www.tegetamotors.ge**

**თეგეტა მოტორსი**  
**TEGETA MOTORS**  
HOLDING COMPANY  
დ. რ. მ. პ. რ. მ. ხ. ა. რ. მ. ხ. ბ. ი. მ. ხ. ბ. ი.

სს "საქართველოს საზღვაო" ბანკს გამოცხადებული ჰქონდა საჯარო აუქციონი 2009 წლის 29 მაისს დღის 12 საათზე, სადაც განმეორებით 75%-ის ფარგლებში სარეალიზაციოდ გატანილი იყო ბანკის საკუთრებაში არსებული ოქრო. აღნიშნული აუქციონი გადაიდო და აღარ ჩატარდება 2009 წლის 29 მაისს. აუქციონის ჩატარების თარიღს დამატებით გაცნობთ.

სს "საქართველოს საზღვაო" ბანკის სააუქციონო კომისია

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2009 წლის 11 აპრილს სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა. III-V-VII- ლოტებზე შ.პ.ს "პროგრესი და გაფორმდა შესაბამისად N 5-ტ, N 6-ტ და N 7-ტ ხელშეკრულებები. VI ლოტზე შ.პ.ს "დამბა 2005" და გაფორმდა N 8-ტ ხელშეკრულება.

**ცვლილება ბანცხადებაში საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (სხვადასხვა დასახელების სამეურნეო საქონელი) შესყიდვაზე 2009 წლის 22 მაისის ვაზე "24 საათი" შეტანილ იქნას ცვლილება:

კერძოდ: ამოღებული იქნას შესყიდვის ობიექტი - ლოტი 5-ის პოზიცია - სკობი N1, 2, 3 (4000 ცალი).

სატენდერო კომისია

**ბანცხადება**

შპს ლ როუდი აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმო ობიექტის - **ასფალტბეტონის ქარხნის** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, **ბახტრიონის ქ. N1** და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: ქ. თბილისი, **ჭინახლის ქ. N4-6**, 2009 წლის 14 ივლისს, 14.00 საათზე. გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს ლ როუდი -ს ადმინისტრაციას.

შპს ლ როუდი

**იყიდება!**

**მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა", ლიცენზირებული კარიერით 80 000 კვ. მ-ზე ტექნიკასთან ერთად:**

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

**ფასი შეთანხმებით**

**საკონტაქტო ტელეფონი: 877 24 44 84**

**ცვლილება**

ქ.დუშეთში ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საპროექტო წინადადებაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში (ვაზეთ „24 საათი“ №87 23/04/09) შეტანილია შემდეგი ცვლილებები;

ეკიზური წინასაპროექტო წინადადებების წარდგენის ვადა გახანგრძლივდეს 2009 წლის 8 ივნისამდე.

